პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<ol style="list-style-type: none"> 1. ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები; 2. ხელშეწყობილია ბათუმში მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	
1	სერტიფიცირებული ახალგაზრდების რაოდენობა	1	-	25	25	30	
2	სტიპენდიანტთა რაოდენობა	100	100	100	100	100	10% - მაღალი აკადემიურ მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტთა ნაკლებობა

3	უცხოეთში სტაჟირებაზე/საერთაშორის ო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ- მასწავლებელთა რაოდენობა	-	-	10	10	10	
4	დაფინანსებული საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების რაოდენობა	-	-	2	2	2	
5	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	-	-	2	-	-	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
04 02 02	ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			100,000	100,000	100,000	100,000

ქვეპროგრამის მიზანი	<p>ბათუმელ სტუდენტთა წახალისება</p> <p>განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწავლის მოტივაცია კი წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს სტუდენტის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, პირველ ყოვლისა წახალისებს ქალაქისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვანი მიმართულებების სტუდენტებს, რათა მათ გაზრდილი მოტივაციით მეტად აიმაღლონ სწავლის ხარისხი და საბოლოოდ ქალაქმა მიიღოს სპეციალისტი, რომელიც თავისი მიმართულებით მაღალკვალიფიციური იქნება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემას - ღონისძიების ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.</p> <p>კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვთ დადებითი შეფასება, ამასთან, ამ ქვეპროგრამით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული უნდა ჰქონდეთ შემდეგი დადებითი შეფასება - მინიმუმ (B) - ძალიან კარგი (81 ქულა და მეტი), ხოლო სხვა დანარჩენ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული უნდა ჰქონდეთ შემდეგი დადებითი შეფასება - (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი).</p> <p>ამ ქვეპროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სტიპენდიის გაცემის დროს პირველ ეტაპზე განიხილება იმ სტუდენტთა დაფინანსების საკითხი, რომლებიც სწავლობენ შემდეგ პრიორიტეტულ სწავლის სფეროებზე: ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არქიტექტურა და მშენებლობა, გარემოსმცოდნეობა/ეკოლოგია, კულტურული მემკვიდრეობის კვლევები, კულტურის/ხელოვნების მენეჯმენტი, ისტორია და არქეოლოგია, განათლების მეცნიერებები, სკოლამდელი განათლება და მასწავლებლის განათლება. თუ პირველ ეტაპზე ვერ შეივსო არსებული ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ამ ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაცვით, მოხდება სხვა დანარჩენ სწავლის სფეროებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.</p> <p>ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია სემესტრში შეადგენს 1 000 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p>
---------------------	--

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>თუ სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით.</p> <p>თუ ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, სტიპენდია გაიცემა შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:</p> <p>ა) ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;</p> <p>ბ) ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.</p> <p>თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს, წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელში პირველი საფეხურზე ჩასარიცხად, მისაღებ გამოცდაზე, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული აქვს უფრო მაღალი სკალირებული ქულა.</p> <p>კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) განცხადება;</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>გ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4);</p> <p>დ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>ე) ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის მითითებით;</p> <p>ვ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის შედეგების შესახებ;</p> <p>ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი ბაკალავრია;</p> <p>თ) ინფორმაცია საერთო სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში და ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი მაგისტრანტია;</p> <p>ი) საბანკო რეკვიზიტი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცემა სემესტრებში ერთხელ. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2021 წლის მაისის თვისა. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2021 წლის ნოემბრისა.</p> <p>კონკურსის ჩატარების წესი და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე. სტიპენდია არ გაიცემა აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ბოლო სემესტრების საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტების საფუძველზე.</p>
<p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები</p>

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	სტიპენდიანტთა რაოდენობა	100	100	10% - მაღალი აკადემიურ მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტთა ნაკლებობა
2	კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობა	225	200	20% - განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია სტუდენტთა მონარტივიანობაზე/ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა

3	კონკურში მონაწილე სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი (კონკურსში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კონკურსში გამარჯვება დამატებითი მოტივაციაა საიმისოდ, რომ გააუმჯობესონ სწავლის აკადემიური მაჩვენებელი, მიიღონ მატერიალური სარგებელი, რაც თავის მხრივ აისახება მათი სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ხარისხზე. ნაწილი სტუდენტებისა აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ფინანსური დახმარების ეს ფორმა შეუძლიათ განათლებისათვის საჭირო დანახარჯებისკენ მიმართონ.)	-	საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი	10% - გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი
---	---	---	--	---------------------------------------

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა	პირი	50	1,000	50,000	50,000	
2	2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა	პირი	50	1,000	50,000	50,000	
სულ ქვეპროგრამა					100,000	100,000	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			11,000	16,700	16,700	16,700

პროგრამის მიზანი	ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა
------------------	---

პროგრამის აღწერა	<p>ყველას აქვს ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.</p> <p>ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. ბოლო წლებში განათლების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.</p>
	<p>მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში, ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. მიუხედავად აღნიშნულისა, კვლავ პრობლემად რჩება იმ მოსწავლეთა დაფინანსება, რომლებმაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში ვერ დაძლიეს საბაზო/საშუალო საფეხური, სწორედ მათი ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამა „ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა“ ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის დაფარვას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ის მოსწავლე:</p> <p>ა) რომელმაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე,</p> <p>ბ) რომელმაც 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური.</p>
	<p>ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პროგრამა ასევე ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებისათვის სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის - კვლევის ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს ტრანსპორტით უზრუნველყოფილნი არიან სკოლათა მესამედი მოსწავლეები (თუმცა, შემთხვევათა მხოლოდ 19%-ში ემსახურება სკოლის ტრანსპორტი ყველა სსსმ მოსწავლეს). სსსმ მოსწავლეებისათვის სასკოლო ტრანსპორტის არარსებობა მშობლების უმეტესობას არჩევანში საკმაოდ ზღუდავს და სკოლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილიდან შედარებით შორსაა, ფიზიკურად ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის. საბოლოო ჯამში, სკოლის ფიზიკური გარემოს ნაკლები ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან მაკრო ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, ვინაიდან, ფიზიკური სივრცის დაბალი ხელმისაწვდომობა პირდაპირ აისახება სოციალურ მიმდებლობაზე. ფიზიკური გარემო, რომელიც არ ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს, ამ უკანასკნელს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში და ზრდის მასტიგმატიზირებელი აღქმების გაჩენის/გამძიერების საფრთხეს. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში, ამ მიზნით, ქვეპროგრამის „ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში, განხორციელდება ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებას.</p>
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელშეწყობილია ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	

1	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც კ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	14	15	20	20	20	20% - მომართვიანობის ცვლილება, მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, ტრანსპორტირების უსაფრთხოება, პანდემია
2	მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც სწავლის გასაგრძელებლად მიიღეს დაფინანსება	5	-	10	10	10	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
04 03 01	ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა	ზოგადი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			11,000	16,700	16,700	16,700

ქვეპროგრამის მიზანი	<p>ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემა</p> <p>ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა სოციალური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:</p> <p>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება - ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.</p> <p>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვისა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება. ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბათუმის N13 და N17 საჯარო სკოლების ბავშვთა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და სპეცმასწავლებლთა შრომის ანაზღაურების დაფინანსებით გახსნილია ინტეგრირებული კლასები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთათვის. ბათუმის N13 საჯარო სკოლაში 2018-2019 სასწავლო წლიდან, ხოლო ბათუმის N17 საჯარო სკოლაში 2019-2020 სასწავლო წლიდან ქალაქ ბათუმის მერიის დაფინანსებით აღნიშნული კლასის მოსწავლეებისთვის ხდება ტრანსპორტირების მომსახურების გაწევა, რამაც შესაძლებელი გახდა სსმ მოსწავლეების აქტიური ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ხსენებული სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებას საჯარო სკოლები ვერ უზრუნველყოფენ. ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირება, შეიქმნა ქვეპროგრამა „ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა“.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს, 2021 წლის განმავლობაში, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ქ. ბათუმის N13 და N17 საჯარო სკოლების 15 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტირების მომსახურებას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 და N17 საჯარო სკოლებამდე მისვლა და შინ დაბრუნება).</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სატრანსპორტო მომსახურებით	14	15	20% - მომართვიანობის ცვლილება, მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, ტრანსპორტირების უსაფრთხოება, პანდემია
2	მომსახურების ხარისხის შეფასება (მშობლების უმრავლესობა დადებითად აფასებს განხორციელებულ მომსახურებას)	-	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%	20% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, ტრანსპორტირების უსაფრთხოება პანდემია

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება	მოსწავლე	15	733	11,000	11,000	
სულ ქვეპროგრამა					11,000	11,000	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პრიორიტეტის დასახელება	პრიორიტეტის დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი		8,502,954	11,871,350	12,770,935	13,170,139

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	187,900	450,400	540,400	648,500
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	3,340,657	3,850,400	4,220,480	4,664,576
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	1,731,400	3,002,500	3,012,200	3,169,500
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,342,410	3,449,500	3,677,300	3,904,500
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	595,727	754,590	965,595	401,103
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	304,860	363,960	354,960	381,960

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			3,983,400	6,094,000	6,384,700	6,557,100

პროგრამის მიზანი	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
პროგრამის აღწერა	<p>ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე. ის აძლიერებს იმუნიტეტს და აწვავს ტვინის უჯრედებს. სპორტი ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელი თვისებით, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების, თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდებ დაავადებები). • დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს „სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის“ მიერ 2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების მონაცემები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღი გასართობი მხარდაჭერის პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა). <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.</p> <p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.</p> <p>პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად 2021 - 2024 წლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; - საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა; - ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა; - სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა; - ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“; - ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი; - ბათუმი - სპორტის ქალაქი.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	

1	სამოყვარულო სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	1,650	1,700	1,800	1,850	1,900	3% - ნაკლები მომართვიანობა; პანდემია.
2	მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა	4,600	4,650	5,300	4800	5,000	2% - ნაკლები მომართვიანობა; პანდემია.
3	მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში მოღვაწე ადგილობრივი სპორტსმენების %-ლი წილი	70	70	72	74	75	10% - ადგილობრივი სპორტსმენების დაბალი კონკურენციის უნარი.
4	მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა	3	3	5	7	7	40% - სპორტსმენთა არადამაკმაყოფილებელი ასპარეზობა/დაზიანება.
5	მასობრივი სპორტის აქტივობების მოსარგებლეები თვლიან, რომ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობით, სპორტის მიმართ მათი ინტერესი გაიზარდა, არაჯანსაღი დღის წესრიგი კი ფიზიკური აქტივობებით შეიცვალა	-	70%	70%	70%	70%	10% - არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 01	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			187,900	450,400	540,400	648,500

ქვეპროგრამის მიზანი	<p>მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა</p> <p>მასობრივი სპორტი აერთიანებს ყველა პირს, რომელიც დაკავებულია ნებისმიერი სპორტული/ფიზიკური აქტივობის ორგანიზებულ ან არაორგანიზებული ფორმით, განურჩევლად რასისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური მდგომარეობისა, რელიგიური მრწამსისა და ფიზიკური შესაძლებლობისა. მასობრივი სპორტის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაციას. მასობრივი სპორტი პირდაპირ კავშირშია და წარმოადგენს საფუძველს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა; გარდა ამისა, მასობრივი სპორტის განვითარება შედევს მრავალი მიმართულებით იძლევა, მათ შორის:</p> <p>-დანაშაულის პრევენცია, ზავშეშლისა და ახალგაზრდების ენერჯის და აგრესიულობის მოქცევა ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების კალაპოტში. თავისუფალი დროის ორგანიზებული ხარჯვა;</p> <p>-დაავადებათა პრევენცია, ფიზიკური აქტიურობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მასობრივ სპორტში აქტიური ჩართულობით დაავადებათა პრევენციისა და მოსახლეობის გაჯანსაღების საფუძველების შექმნა. მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება ჩვენ ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით იძლევა პროგრესს და ზრდის სპორტით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობას.</p> <p>ქვეპროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც არ არიან ჩართული მაღალი მიღწევების სპორტულ კლუბებში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება რეგულარულად.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p>
ქვეპროგრამის აღწერა	<p>1. ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი - პროექტი ითვალისწინებს ფეხბურთის სამი სახეობის გაერთიანებას. ეზოს ფეხბურთში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის 10 ადმინისტრაციული ერთეულის გუნდები. ეზოს ფეხბურთის მონაწილეებიდან მოხდება წარმატებული ბავშვების შერჩევა და გადაყვანა ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის სექციებში, ასევე მოხდება ნიჭიერი ბავშვების გადაყვანა პროფესიონალურ კლუბებში. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა ფესტივალი და გამოვლინდებიან გამარჯვებული გუნდები და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები. ასევე გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ექსკურსიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.</p> <p>2. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს აუტიზმის მქონე 40-მდე ბავშვი. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება აქტივობები კვირაში ორჯერ, მოზარდებთან იმუშავეს 2 მწვრთნელი, თერაპევტი და ფსიქოლოგი; ჩატარდება საჩვენებელი ფესტივალი. ფესტივალის მონაწილე მოზარდებს გადაეცემათ წამახალისებელი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობა.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	ჩატარებული სპორტული აქტივობების რაოდენობა	1,000	600	5% - ცუდი მეტეოროლოგიული პირობები; პანდემია
2	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	450	2,000	10% -ნაკლები მომართვიანობა; პანდემია
3	ეზოს, საპლაჟო და ფუტსალის ფეხბურთის გუნდების რაოდენობა	25	66	10% - ნაკლები მომართვიანობა

4	მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა	50	100	20% - მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა; პანდემია
---	--	----	-----	---

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი				164,500	164,500	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	25	5,580	139,500	139,500	
	სპორტული ეკიპირება და ინვენტარი (საპლაჟო და ფუტსალი)	გუნდი	5	2,000	10,000	10,000	
	სპორტული დარბაზის იჯარა (საპლაჟო და ფუტსალი)	თვე	7	1,429	10,000	10,000	
	ეზოს ფეხბურთის ორგანიზება, საპრიზო ფონდი	ტურნირი	1	5,000	5,000	5,000	
2	სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია				23,400	23,400	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	4	4,875	19,500	19,500	
	ორგანიზება	დღე	2	375	750	750	
	ინვენტარი				550	550	
	საპრიზო ფონდი				2,600	2,600	
	სულ ქვეპროგრამა				187,900	187,900	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 03	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			20,000	60,000	61,000	75,000

ქვეპროგრამის მიზანი	წარმატებული ბათუმელი სპორტსმენების, ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდებისა და მათი მწვრთნელების წახალისება
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ბათუმში აღზრდილი არაერთი ტიტულოვანი სპორტსმენი გაიგნო ჩვენმა ქვეყანამ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სპორტსმენთა ღვაწლის დაფასება და მათი სახელის სათანადო წარმოჩენა, რაც თავის მხრივ სტიმულს მისცემს თითოეულ სპორტსმენს, აამაღლებს მათ მოტივაციას და გაზრდის ქალაქში მოღვაწე სპორტსმენთა ცნობადობას. სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაფასებისა და სტიმულირების მიზნით ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ღონისძიებას „წლის სპორტსმენი“ ღონისძიება ითვალისწინებს: წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, კლუბების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ; ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გაწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში.</p> <p>გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით. ხორციელდება კონკურსის წესით.</p> <p>ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში - გაიმართება დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი.</p> <p>ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა) განისაზღვრება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	წლის ბოლოსათვის დაჯილდოებული წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენების/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდებისა და მათი მწვრთნელების რაოდენობა	50	50	10% - მომართვიანობის ცვლილება (+/-)
2	წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა	60	60	10% - მომართვიანობის ცვლილება (+/-)

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	წლის სპორტსმენი	ღონისძიება	1	20,000	20,000	20,000	
სულ ქვეპროგრამა					20,000	20,000	0

№	დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 04	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			3,449,000	4,600,500	4,700,200	4,750,500

ქვეპროგრამის მიზანი	<p>მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ბათუმელ სპორტსმენთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტმენტა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია:</p> <p>1. მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობა - ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტსმენტა ეკიპირებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და სპორტული მივლინებების განხორციელება. მათთვის პირობების შექმნა სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარებისათვის. მუნიციპალური კლუბების საერთაშორისო ოფიციალურ ღონისძიებებზე, საწევროების გადახდას, შესაბამის დონეზე მსაჯებისა და მწვრთნელების მომზადებასა და მათი სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებსა და კურსებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ბათუმის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლებას და მათ მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას.</p> <p>2. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა - ღონისძიება ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებას.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების პროცენტული წილი	70%	70%	10% - ადგილობრივი სპორტსმენების დაბალი კონკურენტუნარიანობა.
2	მუნიციპალური საკლუბო გუნდების ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა	1,200	1,200	5% - ნაკლები მომართვიანობა; პანდემია.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
I	მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა				2,730,486	2,730,486	

1	სარაგბო კლუბის „ბათუმი“ განვითარების ხელშეწყობა				1,597,904	1,597,904	
	სარაგბო სტადიონის პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	31	5,444	168,776	168,776	
	სარაგბო სტადიონის საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				50,000	50,000	
	ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	11	13,738	151,122	151,122	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	5	44,760	223,800	223,800	
	ძირითადი გუნდის სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	38	23,716	901,206	901,206	
	შიგა სატურნირო მივლინებები				30,000	30,000	
	სპორტული ინვენტარი და უნიფორმა				0		
	ოფისის ხარჯი				10,000	10,000	
	სხვა საქონელი და მომსახურება				10,000	10,000	
	საწვავის ხარჯი				3,000	3,000	
	მედიკამენტები, დაზღვევა, სხვა სამედიცინო მომსახურება				50,000	50,000	
2	ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ განვითარების ხელშეწყობა				113,400	113,400	
	ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	2	9,500	19,000	19,000	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	17	2,988	50,800	50,800	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	5	2,000	10,000	10,000	
	მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები;				2,000	2,000	
	შიგა სატურნირო მივლინებები	რაოდენობა	25	1,080	27,000	27,000	
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				300	300	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				4,300	4,300	
3	საკალათბურთო კლუბის „ბათუმის“ განვითარების ხელშეწყობა				782,642	782,642	
	ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	6	12,275	73,650	73,650	

	ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	18	31,511	567,192	567,192	
	მოწვეული მოთამაშეების მგზავრობის თანხა	პირი	4	2,713	10,850	10,850	
	მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწვევო გადასახადები;				75,000	75,000	
	სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარა (თვე)	თვე	12	646	7,750	7,750	
	შიდა სატურნირო მივლინებები (გასვლა)	გასვლა	18	1,781	32,050	32,050	
	სპორტული ინვენტარი და უნიფორმა				4,950	4,950	
	სამედიცინო ხარჯი				4,000	4,000	
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				7,200	7,200	
4	ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ განვითარების ხელშეწყობა				236,540	236,540	
	ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	3	9,533	28,600	28,600	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების ანაზღაურება	პირი	17	9,232	156,940	156,940	
	შიდა სატურნირო მივლინებები	გასვლა	18	2,444	44,000	44,000	
	მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწვევო გადასახადი				2,000	2,000	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				5,000	5,000	
II	ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				718,514	718,514	
1	სარაგბო კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				421,796	421,796	
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელებისა შრომის ანაზღაურება	პირი	33	11,509	379,796	379,796	
	ბავშვთა ჯგუფების შიდა სატურნირო მივლინებები				42,000	42,000	
2	ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				8,000	8,000	
	შიდა სატურნირო მივლინებები				8,000	8,000	
3	საკალათბურთო კლუბის „ბათუმი 2010“ ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				68,358	68,358	
	ბავშვთა ჯგუფის მწვრთნელის შრომის ანაზღაურება	პირი	1	9,726	9,726	9,726	

	ბავშთა ასაკობრივი ჯგუფის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	3	15,991	47,974	47,974	
	ბავშთა და ასაკობრივი ჯგუფების შიდა სატურნირო მივლინებები				8,350	8,350	
	ბავშთა და ასაკობრივი ჯგუფების სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარა				1,500	1,500	
	ბავშთა და ასაკობრივი ჯგუფების სამედიცინო ხარჯი				808	808	
4	წყალბურთის კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				135,600	135,600	
	ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	3	10,800	32,400	32,400	
	მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	3	12,020	36,060	36,060	
	შიდა სატურნირო მივლინებები (გასვლა)	გასვლა	7	2,000	14,000	14,000	
	აუზის იჯარა (თვე)	თვე	11	4,773	52,500	52,500	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				640	640	
5	ხელბურთის კლუბის „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				84,760	84,760	
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	5	6,952	34,760	34,760	
	ბავშვთა ჯგუფების შიდა სატურნირო მივლინებები	გასვლა	18	2,778	50,000	50,000	
სულ ქვეპროგრამა					3,449,000	3,449,000	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	კლუბების დაფინანსება განხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 05	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			181,600	373,100	373,100	373,100

ქვეპროგრამის მიზანი	<p>ჭადრაკის, როგორც ინტელექტუალური სპორტის სახეობის განვითარება, პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, პროფესიული დონის, მიღწევების და შედეგიანობის ამაღლება.</p>
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მდიდარი ისტორიის მქონე ჭადრაკი საზოგადოების კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. დღეისათვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჭადრაკი განიხილება, როგორც ახალგაზრდა თაობის აღზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. რამეთუ ჭადრაკი ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, ანალიზის, რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უნარს და სხვისი აზრის პატივისცემას, ჭადრაკი ფლობს შემოქმედებითი აქტივობის განვითარების მდიდარ შესაძლებლობებსაც. ცნობილი ამერიკელი განმანათლებელი, პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ბენჯამინ ფრაკლინი თავის ცნობილ ნაშრომში „ჭადრაკის ზნეობრივი ფასეულობანი“ წერს რომ ჭადრაკის თამაშით შეგვიძლია ვასწავლოთ შორსმჭვრეტელობა, წინდახედულება, სიფრთხილე, სიმხნევე და ბევრი სხვა თვისება. გამოჩენილი პედაგოგის, ვასილი სუხომილინსკის აზრით, ჭადრაკი არის თანმიმდევრული, ლოგიკური აზროვნების შესანიშნავი სკოლა. მთელი რიგი გამოკვლევების შედეგებით ირკვევა, რომ ჭადრაკით დაინტერესებულ მოზარდთა შორის მინიმუმამდეა დაყვანილი ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება. კლუბი "ნონაც" თავის მხრივ ჯანსაღი ცხოვრების სტილის ავტორია და დაფუძნებიდან (2013 წ. 30 აპრილი) დღემდე აღზრდელით საქმიანობას ეწევა. შედეგებიც სახეზეა: დღეს კლუბი ნონა ოთხგზის ევროპის და 4 გზის საქართველოს საკლუბო ჩემპიონია, ორგზის ევროპის საკლუბო ვიცი ჩემპიონი, კლუბს მიღწევებისთვის სამუდამოდ გადაეცა ევროპის გარდამავალი თასი, პარიზში დაჯილდოვდა "ოქროს ვარსკვლავით" ეფექტური მენეჯმენტისთვის, მოპოვებული აქვს ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული მრავალი ჯილდო სხვადასხვა ნომინაციებში. გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაცვლითი პროექტების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საერთაშორისო საჭადრაკო სკოლებთან და კლუბებთან. ხუთი წელია ორგანიზატორია საერთაშორისო ნორმანი საჭადრაკო ფესტივალის "ბათუმის მერიის თასი", რომლის ფარგლებში 11 დამოუკიდებელი ტურნირი იმართება და ყოველ წელს ბათუმში მინიმუმ 20 ქვეყნის 1500-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს. კლუბს გააჩნია ოფიციალური ვებ - გვერდი, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოპულარობით სარგებლობს. 7 წელია კლუბში ფუნქციონირებს 4 ჯგუფი, ჯამში სტაბილურად 250 ბავშვი, რომელიც უსასყიდლოდ ეუფლება საჭადრაკო სიბრძნეს. პერიოდულად ტარდება შიდა ტურნირები, თემატური მასტერ კლასები და ერთდროული თამაშის სეანსები. ტრადიციული რაპიდ ტურნირი ვეტერან მოჭადრაკეთათვის "გურამ ჭანტურას თასი" და საახალწლო ფესტივალი სხვადასხვა ასაკის და დონის ბავშვებისთვის. წარმატებული კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო ტურნირებში. დიდოსტატებს დანიშნული აქვთ ყოველთვიური სტიპენდიები და ინდივიდუალურ მომზადებას გადიან მათთვის სასურველ მწვრთნელებთან.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია: მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, აგრეთვე, ტურნირების ორგანიზება და სხვადასხვა დონის ჩემპიონატებსა და შეხვედრებში მონაწილეობა.</p> <p>ხელშეწყობილია ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონას“ განვითარება და უზრუნველყოფილია კლუბის მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში;</p>

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	კლუბის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	10	10	20% - 'გათვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები; პანდემია.
2	კლუბის ბაზაზე ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა	250	250	20% - მასწავლებლების კონტინენტის შემცირება; პანდემია. მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	მართვა და ადმინისტრირება				166,600	166,600	0
	ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	6	9,600	57,600	57,600	
	ძირითადი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	7	5,357	37,500	37,500	
	მოწვეული კლუბის წევრების ანაზღაურება	პირი	10	1,000	10,000	10,000	
	მოწვეული სპეციალური მწვრთნელების ანაზღაურება	პირი	11	1,364	15,000	15,000	
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების ანაზღაურება	პირი	7	4,500	31,500	31,500	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				15,000	15,000	
2	ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა				15,000	15,000	0
	საქმიანი მივლინება				300	300	
	შიგა სატურნირო მივლინებები (საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები/საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი)				2,700	2,700	
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	ტურნირი	10	1,200	12,000	12,000	
	სულ ქვეპროგრამა				181,600	181,600	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	რაოდენობა და ერთეულის საშუალო ფასი საორიენტაციო და დამოკიდებულია სატურნირო დებულებებში მოცემულ ფორმატზე. წინა სატურნირო ვითარებაზე, დასახული მიზნისთვის შესაფერისი ტურნირის აღმოჩენაზე, აგრეთვე მიღებულ მოწვევებზე და სხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო კლუბებთან ერთობლივად დაგეგმილ გაცვლითი პროგრამების სიხშირესა და მნიშვნელობაზე.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 06	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			144,900	210,000	210,000	210,000

ქვეპროგრამის მიზანი	ბათუმის საცხენოსნო კლუბის განვითარების ხელშეწყობა					
ქვეპროგრამის აღწერა	ცხენოსნობის ტრადიციები საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, მეცხენეობა და საცხენოსნო სპორტი, დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს. სფეროს აღორძინებასა და განვითარებას შესაბამისი ფინანსური რესურსი სჭირდება. სპორტის ეს სახეობა საკმაოდ მოცულობით ფინანსურ ინვესტიციას საჭიროებს, თუმცა მისი განვითარების შემთხვევაში, საცხენოსნო სპორტის და ტურიზმის სფეროდან მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება შესაძლებელია. ბათუმის საცხენოსნო კლუბი ხელს უწყობს ცხენოსნობის განვითარებას აჭარაში და სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას.					
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია: ადმინისტრირებასთან და კლუბის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, აგრეთვე, შეჯიბრებებში მონაწილეობა.					
	ხელშეწყობილია საცხენოსნო კლუბის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში					

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	კლუბის ბაზაზე არსებული ცხენების რაოდენობა	14	15	ცხოველის სიკვდილიანობა
2	ადგილობრივი ტურნირების რაოდენობა, რომელშიც კლუბმა მიიღო მონაწილეობა	10	10	20% - ცხენის ან მხედრის დაზიანება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ადმინისტრაციის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	5	10,980	54,900	54,900	
2	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	3	10,250	30,750	30,750	
3	სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა (მივლინება)				3,200	3,200	
4	კვების ხარჯი	ცხენი	15	2,400	36,000	36,000	
5	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები				20,050	10,050	10,000
სულ ქვეპროგრამა					144,900	134,900	10,000

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			3,340,657	3,850,400	4,220,480	4,664,576

პროგრამის მიზანი	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა	<p>სპორტულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა წარმოუდგენელია მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი ინფრასტრუქტურისა და სპორტული ბაზების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ წლებია ქალაქის მასშტაბით მოწყობილი ათეულობით მინი სპორტული მოედანი, მაინც არასაკმარისია მათი რაოდენობა. თითქმის არ არსებობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სპორტული ინფრასტრუქტურის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის უმრავლესობა სარეაბილიტაციაო და საჭიროებს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში ჩატარდა, კითხვაზე თუ რა უშლის ხელს დღეს სპორტის განვითარებას, არასაკმარის დაფინანსებასა და სპორტულ სექციებთან ერთად კვლევაში ჩართული ადამიანების უდიდესი ნაწილი პრობლემას ინფრასტრუქტურაში ხედავს. მოსახლეობა სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე ფაქტორად ასახელებს სპორტული ბაზებისა და მოედნების არ არსებობას და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობას.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა და რეაბილიტაცია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ ცენტრთან არსებული სექციების მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი; - სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამართული და განახლებულია მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურა და ხელშეწყობილია ცენტრთან ასრებული სპორტული სექციების მუშაობა

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	
1	ფართობი, რომელზეც მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა	2,310	1,106	500	500	500	5% - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			20,000	85,000	85,000	105,000

ქვეპროგრამის მიზანი	ხელოვანთა დაფასება და სტიმულირება
ქვეპროგრამის აღწერა	<p>თავის მხრივ სტუმრებს მისცემს თითოეულ ხელოვანს, აამაღლებს მათ მოტივაციას და გაზრდის ქალაქში მოღვაწე ხელოვანთა ცნობადობას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღონისძიებას „წლის ხელოვანი“.</p> <p>ღონისძიების ფარგლებში წლის ბოლოს, საზეიმო ვითარებაში, განხორციელდება კულტურის სფეროს წარმომადგენელთა დაჯილდოება სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით. ღონისძიება ითვალისწინებს კულტურის დარგში წარმატებული ხელოვანების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ და პირადი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში და პოპულარიზაციაში, წარმოქმნაში, აღიარებაში.</p> <p>გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით ხორციელდება კონკურსის წესით.</p> <p>ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა) განისაზღვრება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაფასებული და სტიმულირებულია ბათუმელი ხელოვანები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	ჯილდოზე ნომინირებულ ხელოვანთა რაოდენობა (არანაკლებ)	10	10	40% - მომართვიანობის შემცირება/გაზრდა,
2	წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა	30	30	20% - მომართვიანობის შემცირება/გაზრდა,

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	წლის ხელოვანი	ღონისძიება	1		20,000	20,000	
სულ ქვეპროგრამა					20,000	20,000	0

№	დამატებითი ინფორმაცია
---	-----------------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 04 05	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			896,330	1,559,000	1,759,000	1,959,000

ქვეპროგრამის მიზანი	<p>ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <p>სამოქალაქო საზოგადოებაში ბიბლიოთეკები წარმოადგენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ – ერთ საშუალებას, სადაც ყველა თაობისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ღებულობს ცოდნასა და ინფორმაციას მათთვის აუცილებელ და საინტერესო საკითხებზე.</p> <p>ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ 1902 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა და დაარსებიდან ერთ მენობაში, ხოლო 2008 წლიდან ორ მენობაში (მისი პირველადი დაარსების ადგილზე ვაჟა-ფშაველას ქ #21 და სახავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება ივ. ჯავახიშვილის ქ.#72) ასრულებს აღმზრდელობით, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობას, უზრუნველყოფს ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის, კოლექციებისა და საარქივო მასალების დაცვას, გაციფრებას და საჯარო ხელმისაწვდომობას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება; ბიბლიოთეკის მართვა-აღმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;</p> <p>საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მარჯვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობის ზრდა	9,500	4,560	20%
2	რეგისტრირებულ მკითხველთა რაოდენობა	6,000	3,000	10% - მკითხველთა ნაკლები ინტერესი, პანდემია
3	საბიბლიოთეკო ფონდის ბეჭდური გამოცემებით სარგებლობის რაოდენობა	350,000	150,000	5% - მკითხველთა ნაკლები ინტერესი, პანდემია
4	საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული რესურსებით (აუდიო- ვიდეო მასალა და ინტერნეტი) სარგებლობის რაოდენობა	20,000	22,000	10% - მკითხველთა ნაკლები ინტერესი, ვებგვერდის გაუმართაობა

5	საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგების რაოდენობა (წიგნი+პრესა)	80,000	40,000	10% - მკითხველთა ნაკლები ინტერესი, ვებგვერდის გაუმართაობა
6	საბიბლიოთეკო ფონდის წიგნების და ფოტოების გაციფრების რაოდენობის ზრდა	-	400	10%

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-აღმინისტრირება				863,330	723,300	140,030
	შრომის ანაზღაურება	პირი	77	8,842	680,840	648,500	32,340
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	4	24,043	96,170	20,000	76,170
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				86,320	54,800	31,520
2	მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება				33,000	33,000	0
	ჟურნალ-გაზეთების შეძენა	ცალი	2,896	2	5,000	5,000	
	წიგნების შეძენა	ცალი	4,560	3	15,000	15,000	
	საბუღალტრო პროგრამა				3,000	3,000	
	კომპიუტერების მოწყობილობები	ცალი	5	2000	10,000	10,000	
	სულ ქვეპროგრამა				896,330	756,300	140,030

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			595,727	754,590	965,595	401,103

პროგრამის მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა
პროგრამის აღწერა	კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია. ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. კულტურული მემკვიდრეობა სულიერი და მატერიალური განვითარების მატანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2021 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	
1	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	1	1	2	2	2	არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
2	სარეაბილიტაციო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთო რაოდენობაში	8%	6%	4%	2%	1%	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 05 01	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველ	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			595,727	754,590	965,595	401,103

ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის აღწერა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2021 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N2-ში საცხ. სახლის რეაბილიტაციასა და შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობას.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაც

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	1	1	არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N2-ში საცხ. სახლის რეაბილიტაცია	შენობა	1	582,903	582,903	582,903	
2	შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა	შენობა	1	12,824	12,824	12,824	
სულ ქვეპროგრამა					595,727	595,727	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			304,860	363,960	354,960	381,960

პროგრამის მიზანი	ქალაქ ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
------------------	--

პროგრამის აღწერა	<p>ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდობის სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.</p> <p>„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების თანახმად, „არაფორმალურ განათლებას პიროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს და მას ფორმალური განათლება ვერ ჩაანაცვლებს. არაფორმალური განათლების პროცესში ახალგაზრდობის აქტიურ ჩართვას არაერთი დადებითი შედეგი აქვს: უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება (ადამიანური კაპიტალი); პოზიტიური ურთიერთობების დამყარება (სოციალური კაპიტალი); ქვეყნის (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქვეყნის) შეცვლა (ჯანმრთელობის ხელშეწყობა) და პიროვნული ზრდა“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება, ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ უფრო უკეთ სრულდება, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან. ადგილობრივი თვითმმართველობა კი, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის ახალგაზრდობთან, ყველაზე დაახლოებული ორგანოა, რაც გვაძლევს საშუალებას ვიზრუნოთ ადგილობრივი ახალგაზრდობის არაფორმალურ განათლებაზე.</p> <p>საქართველოში ახალგაზრდის ასაკად განსაზღვრულია 14-29 წელი. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ასაკში ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა განხორციელდეს ასაკობრივი განვითარების თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. 14-დან 18 წლამდე ასაკის განვითარების მახასიათებლებია ინტერესის გამოვლენა იმ ცოდნის მიმართ, რაც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, აქტიური შემოქმედებითობის მოთხოვნილება, ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. უყალიბდებთ თვითშეფასებას, მსოფლმხედველობა, ლოკური აზროვნება და წარმოსახვის უნარი.</p> <p>18-დან 24 წლის ახალგაზრდობის მთავარი საზრუნავი განათლების მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. აგრეთვე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ეს ასაკობრივი პერიოდი ასევე დაკავშირებულია ასოციალური ქვეყნის, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემების, წარუმატებელი კარიერული არჩევანის, სიღარიბისა და სხვა რისკებთან.</p> <p>საზოგადოებაში ახალგაზრდობის ინტეგრაცია დამოუკიდებელია მასზე, თუ როგორ არის დაცული ახალგაზრდობის საჭიროებები და ინტერესები სხვადასხვა სექტორებში, როგორცაა დასაქმება, განათლება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა. აღნიშნულის მიღწევისთვის, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ რიგში, ახალგაზრდები გათვითცნობიერებულნი და ინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ და აღჭურვილნი იყვნენ იმ კომპეტენციებით, რაც დაეხმარება მათ დაიცვან თავიანთი უფლებები და მოითხოვონ უკეთესი პირობები განათლების, დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და თავადც, შეიტანონ წვლილი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. რისი მიღწევისთვისაც მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა და არაფორმალურ განათლებასთან ხელმისაწვდომობა.</p> <p>25 წელს ზემოთ ახალგაზრდობის ძირითადი მიზანია, რომ იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი წევრები, მოახდინონ შრომის ბაზარზე მათი მდგომარეობის სტაბილიზაცია და დაიწყონ ოჯახური ცხოვრება.</p> <p>სწორედ ზემოაღნიშნული მოცემულობების გათვალისწინებით, 2018-2021 წლების „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში“, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ახალგაზრდობის განვითარება მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს.</p>
------------------	---

როდესაც ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მათი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, მათი სოციალური პასუხისმგებლობა, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, პიროვნული განვითარების დონე, თუ ყოფითი ცხოვრება თანდათანობით უმჯობესდება და იცვლება უკეთესობისკენ. 2020 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 14 - 29 წლის ასაკის 38 000 ახალგაზრდა რეგისტრირებული. მათ განვითარებაზე ზრუნვა კი პირდაპირ აისახება ქალაქის მომავალ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას. აღნიშნული უფლებამოსილებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის 31 იანვარს N10 განკარგულებით დაამტკიცა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი 2019 - 2021“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის სამ წლიან გეგმას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია ბათუმში მცხოვრები 14 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას. კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონცეფცია განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა შესრულებისთვის პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობისთვის, 2021-2024 წლებში განხორციელდება არაფორმალური განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობის ღონისძიებები, მხარდაჭერილი იქნება ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების ჩატარება და დაფინანსდება ახალგაზრდების ინიციატივები და იდეები. გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდებსა და მოზარდებს ექნებათ შესაძლებლობა შეიკრიბონ უსაფრთხო სივრცეში კერძოდ, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილ ფართში, იმსჯელონ აქტუალურ და მათთვის საინტერესო თემებზე, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, კულტურული მისწრაფებები და გაუზიარონ თანატოლებს თავიანთი ინტერესები. უკვე არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში დამატებით მოეწყობა გასართობი სივრცე, რაც ახალგაზრდების ჩართულობასა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობი პროგრამებით დაინტერესებას გაზრდის, ამავდროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების დაახლოებასა და ერთობლივად ინიციატივებისა და იდეების განხილვას, პროექტების შექმნასა და განხორციელებას. ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებში არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, მოეწყობა ახალგაზრდული სივრცეები, რაც საშუალებას მისცემს ქალაქიდან მოშორებით მცხოვრებ მოზარდებსა და ახალგაზრდებს ადგილზე მიიღონ ის სერვისები, რასაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერის, კერძოდ კი არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ახორციელებს.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	
1	ახალგაზრდების განვითარებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში სწრებადობის რაოდენობა	1,000	3,000	4,000	6,000	7,000	5% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა, და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი, პანდემია
2	ქალაქის გარეუბნებში მოწყობილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები	-	-	2	4	4	-
3	ახალგაზრდულ ცენტრში მოწყობილია გასართობი სივრცე	-	-	1	0	0	-

4	ინტელექტუალურ - შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	800	700	1,100	1,300	1,400	10% - სამიზნე ჯგუფების არასათანადო ინფორმირებულობა; პანდემია.
5	ჩატარებული ღონისძიებების მოსარგებლები მიიჩნევენ, რომ ღონისძიებებში მონაწილეობით მიღებულმა სარგებელმა უკეთესობისკენ შეცვალა მათი დამოკიდებულებები, ცოდნა და უნარები, რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე	-	60%	65%	70%	75%	10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 06 01	ახალგაზრდული ცენტრი	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			286,900	183,000	198,000	220,000

ქვეპროგრამის მიზანი	<p>ახალგაზრდობის განვითარებაზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული არაფორმალური განათლების სივრცის უზრუნველყოფა და ახალგაზრდობის იდეების განხორციელების ხელშეწყობა</p> <p>მოზარდებისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობისთვის საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდული, უსაფრთხო და კომფორტული სივრცის ფუნქციონირება, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს არაფორმალური საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლებისა და ოჯახური კონტაქტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდობის განვითარებას, საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას, სხვადასხვა კომპეტენციისა და თანამედროვე გამოწვევებთან საპასუხო უნარჩვევების დაუფლებას. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ქ. ბათუმში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ განვითარების ალტერნატიული სივრცე, ამ მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ცენტრი“, რომელიც ემსახურება ქალაქში ახალგაზრდობის განვითარებისთვის არაფორმალური, ალტერნატიული სივრცის არსებობას, რაც ხელს უწყობს მოზარდებისა და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდობის ერთ სივრცეში შეკრებას, კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობას, ერთობლივ პროექტებზე მუშაობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. მოხალისეობის საწყისებზე სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას და ა.შ. გარდა ზემოაღნიშნულისა, თემის განვითარებაში ახალგაზრდობის წვლილის გაზრდის მიზნით, მხარდაჭერილი იქნება ახალგაზრდობის ინიციატივები და იდეები. ასევე, განხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში 2020 წელს გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <p>1. ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა - აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართის სანიტარიულ- ჰიგიენური მოვლა-პატრონობა; ყოველთვიურად წარმომობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა; ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფა, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა; ელექტრომექანიკოსისა და სანტექნიკოსის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა თანმდევი მომსახურებები.</p> <p>2. ახალგაზრდობის თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა - როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდობის ჩართულობასა და მონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ აქტიურობა და სხვადასხვა ღონისძიებაში ხშირი ჩართულობა არ გულისხმობს რეალურ მონაწილეობას. ახალგაზრდობის ჩართულობასა და მონაწილეობას გააჩნია თავისი დონეები, ახალგაზრდობის ჩართულობის ხარისხის დასადგენად, საუკეთესო მოდელია როჯერ ჰარტის მონაწილეობის რვა საფეხურიანი კიბე. „მონაწილეობის კიბეზე“ პირველი სამი ეტაპი არის მანიპულირება, დეკორაცია და სიმბოლიზმი. მანიპულაციის დროს მოზარდები/ახალგაზრდები ასრულებენ დავალებას, მაგრამ არ ესმით, რას და რატომ აკეთებენ. როდესაც მოზარდები/ახალგაზრდები გაუცნობიერებლად მონაწილეობენ უფროსების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მათ არ ესმით, რა ფუნქცია აკისრიათ და რა არის პრობლემა.</p> <p>სიმბოლორობის საფეხურზე მოზარდს/ახალგაზრდას ეკითხებიან აზრს, მაგრამ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა სიმბოლოურ ხასიათს ატარებს. მონაწილეობის კიბეზე ყველაზე სასურველი, მე- 8 საფეხურია - „ბავშვის მიერ ინიცირებული და მართული“ პროექტები. საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის“ (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი, 2011 წ) მიხედვით, კითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?“, „ახალგაზრდობის ინიციატივა და მართვა ახალგაზრდობის მიერ“ 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნით ახალგაზრდობის იდეებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. რაც გაზრდის გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდობის დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. გარდა ამისა, საკუთარი იდეების რეალიზებით ახალგაზრდებს არა მხოლოდ საზოგადოების განვითარებაში შეაქვთ წვლილი, არამედ პირად გამოცდილებას იმდიდებენ და კომპეტენციებს იუმჯობესებენ. ღონისძიების „ახალგაზრდობის თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩევა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი საინიციატივო პროექტები და დაფინანსდება.</p>
ქვეპროგრამის აღწერა	

	<p>3. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი / street art movement BAFFITI“ განხორციელება - მსოფლიო ხელოვნებაში დიდი ადგილი უჭირავს ქუჩის ხელოვნებას, რაც საინტერესოს ხდის ქალაქების იერსახეს. სამწუხაროდ, ბათუმში მრავლადაა უსახური კედლები, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მნახველზე და დამაზიანებელია ქალაქის საიმიჯო იერსახისათვის. გარდა ამისა, ბათუმში განხორციელებულია დიდი შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ხელოვანებით, რომლებიც უმეტესწილად საკუთარი ინიციატივითა და ფინანსებით ცდილობენ ქალაქის იერსახეზე იზრუნონ. ვერ ხდება შემოქმედთა პოტენციალის რეალიზება იმ პირობებში, როცა მათი ნიჭი და ახალგაზრდული ენერჯია სწორად შეიძლება იქნეს გამოყენებული საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართა „ბაფიტის“ როლი კი პატარა საზღვაო ქალაქის ხელოვნების ცენტრად ქცევაში უნიკალური იქნება, რაც მიზნად ისახავს ქალაქის იერსახის გალამაზებას, ადგილობრივი ადამიანური (შემოქმედებითი, ინტელექტუალური და ფიზიკური) რესურსების გამოყენებას, ქუჩის მხატვრობის პოპულარიზაციას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ახალგაზრდების მიერ ხელოვნების ამ სპეციფიკურ დარგის აღქმასა და მასში უშუალო მონაწილეობას, ვიზიტორებისთვის ერთგვარი აქცია-პერფორმანსის დემონსტრირებას. ქალაქში „ბაფიტი“ იქნება მოძრაობა, რომელიც რეგიონის მასშტაბით ქუჩის მხატვრობის იდეას რეალობად აქცევს, პროექტის ფარგლებში მოიხატება ქალაქში არსებული უსახური კედლები და პროცესში უშუალოდ მონაწილეები იქნებიან ჩართული.</p> <p>4. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი“ განხორციელება - იდეა გულისხმობს თანამედროვე თეატრალური და კინო ხელოვნების გაერთიანებას ახალგაზრდებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი 30–მდე ახალგაზრდას მასტერკლასებისა და სასწავლო ვიზიტების საშუალებით გააცნობს თეატრალურ კულტურას, ახალგაზრდები უშუალოდ თეატრის ბაზაზე გაეცნობიან სადადგმო პროცესებს, თეატრის პერსონალთან ერთად ჩაერთვებიან პრაქტიკულ სამუშაოებში და პროფესიონალი რეჟისორის ხელმძღვანელობით შექმნიან სპექტაკლს. ყოველივე ეს, შემოქმედებით სივრცეებს გახდის უფრო მეტად მრავალფეროვანს. პროექტის მონაწილე ახალგაზრდები, თეორიულ ცოდნას/გამოცდილებას გაზიარებენ შემდეგ თანამედროვე ცნობადი ხელოვანებისგან, რომლებიც მასტერკლასების ჩატარებასთან ერთად, ხელს შეუწყობენ მათი მოტივაციის ამაღლებას, შემოქმედებით პროცესში უშუალოდ ჩართვის კუთხით. ყოველივე ეს კი გამოიხატება პროექტის ფარგლებში დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობით. პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის“ ფარგლებში თეატრალურ კულტურასთან ერთად, პროექტის მოსარგებლები გაეცნობიან კინო ხელოვნებასაც, რომელიც არაფორმალური განათლების მეთოდით, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას გულისხმობს. პროექტის მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ითამაშებენ სპექტაკლს და გადაიღებენ მოკლემეტრაჟიან ფილმს. პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის“ მთავარი მიზანია ახალგაზრდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ჩართულობის გაზრდა კულტურულ პროცესებში, კერძოდ თანამედროვე თეატრისა და კინოს მიმართულებით.</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>5. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ბავშვებს“ განხორციელება - ეზო და მისი შემოგარენი დიდ როლს თამაშობს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში და გავლენას ახდენს მის სამომავლო ქცევაზე და ხასიათზე. დღესდღეობით კორპუსის ეზოების დიდი ნაწილი არ არის მორგებული ბავშვის საჭიროებებზე, რაც ხელისშემშლელია იმისთვის, რომ ბავშვებმა ნაყოფიერად და სასარგებლოდ გაატარონ დროის ის ნაწილი, როცა იმყოფებიან ეზოში. მნიშვნელოვანია ეზოში შექმნას განწყობა და დატვირთული იყოს შემოქმედებითად, ამის მაგივრად კი ბავშვებს ხვდებოდათ ცივი და უფერული ბეტონი. აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, განხორციელება იდეა: „ფერადი ეზოები ბავშვებს“, რომლის ფარგლებშიც, ბათუმის კორპუსების შიდა ეზოები მოიხატება შემეცნებით-გასართობი თამაშებისთვის საჭირო ნახატებით, კერძოდ: ნახატი №1 „ფერადი ლაბირინთი“, ნახატი №2 „სარკისებური მოძრაობა ფერადი ბურთები“, ნახატი №3 „მომრავი ბილიკი“, ნახატი №4 „ქართული ანზანი“, ნახატი №5 „მოგაზრობა ქალაქში“ და ნახატი №6 „საქართველოს რუკა“. აღნიშნული თამაშები ხელს შეუწყობს წონასწორობის, ყურადღების, კონცენტრაციის, სისწრაფის, აღქმისა და ფიზიკურ განვითარებას, აგრეთვე, ქართული ანზანისა და საქართველოს კუთხეების შესწავლას.</p> <p>6. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ განხორციელება - ბათუმის კულტურული პოტენციალი იმაზე ბევრად მაღალია, რასაც ქალაქი დღეს იყენებს. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ზაფხულობით ქალაქის ქუჩებისა და ღია სივრცეების, ისეთი სანახაობებით დატვირთვა, როგორცაა სპექტაკლები და მცირემასშტაბიანი პერფორმანსები. ფესტივალში დაახლოებით 5 პროფესიულ თეატრს ან შემოქმედებით, დამოუკიდებელ ჯგუფს შეეძლება მონაწილეობა. რაც ცალსახად ხელს შეუწყობს მათი შემოქმედების პოპულარიზაციას და ქალაქში თეატრალური კულტურის განვითარებას. მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის, მათ შორის განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ჯერ კიდევ საკმარისად არ არის ხელმისაწვდომი თეატრალური სანახაობები, ვერ ახერხებენ თეატრში სიარულს ან უზრალოდ ამ კუთხით კულტურის ნაკლებობაა. სამწუხაროდ კოვიდ19–ს გამო, აღნიშნული სფერო საერთოდ დაიკეტა და როგორც შემოქმედს, ისე მაყურებელს, აქვს ამ კუთხით სულიერი საზრდოს და პროფესიული საქმიანობის დანაკლისი. პანდემიის პირობებშიც კი შესაძლებელია აღნიშნული პროექტის განხორციელება, იმიტომ რომ ფესტივალის ჩატარება ღია სივრცეებში რეკომენდაციების სრული დაცვით. ფესტივალის განხორციელების შედეგად, გაიზრდება ბათუმისადმი კულტურით დაინტერესებული ტურისტების ინტერესი, ასევე, ადგილობრივებისთვის თეატრალური კულტურა გახდება უფრო ახლო და საზოგადოებრივი სივრცეები მთელი ზაფხულის განმავლობაში შეიძენს კულტურულ–შემოქმედებითი სივრცის სტატუსს. ახალგაზრდა ხელოვანები კოვიდ - 19 - ის პირობებშიც კი, გააგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას, ბათუმში ადგილობრივ თეატრალურ ჯგუფებთან ერთად, უმასპინძლებს რეგიონულ თეატრებსა და დამოუკიდებელ ხელოვანთა</p> <p>7. „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „მობილური კინოთეატრი“ განხორციელება - პროექტის მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება ქართული კინოხელოვნებით, მათი ინფორმირება კინოხელოვნებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხერხებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ. პროექტის - „მობილური კინოთეატრის“ ფარგლებში, ღია ცის ქვეშ, ნახევრად დახურულ მობილურ კონსტრუქციაში მოწყობა კინოჩვენებები, რომლის დასრულების შემდგომ დრო დაეთმობა ნაჩვენებ ფილმის განხილვას, რომელსაც წარუძღვებიან გამოცდილი სპეციალისტები. ბათუმელი სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა გაეცნობა ახალ ქართულ კინოპროდუქციას და ზოგადად, კინოინდუსტრიაში მიმდინარე მოვლენებს. აგრეთვე იმ პერსპექტივას, თუ რა მიმართულებით შეიძლება მოსინჯონ ახალგაზრდებმა საკუთარი ძალები ხელოვნების ისეთ პოპულარულ დარგში, როგორც კინემატოგრაფია.</p>

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილი არაფორმალური განათლების მიღებისთვის უსაფრთხო და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე; ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდეების განხორციელება.
---	---

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	განხორციელებული აქტივობების რაოდენობა	8	80	10% - ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება; პანდემია.
2	განხორციელებულ აქტივობებსა და ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	200	3,000	5% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი, პანდემია
3	ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა	2	5	20% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი, პანდემია
4	საინიციატივო პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	140	400	10% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი, პანდემია
5	მონაწილე ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობით შეიძინეს ახალი ცოდნა და უნარები და განივითარეს არსებული ცოდნა. აგრეთვე, უკეთესობისკენ შეიცვალა მათი დამოკიდებულებები და ღონისძიებებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო მათ განვითარებას)	-	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან.
6	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს)	-	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60 % - ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	ცენტრის შენობა	1	14,930	14,930	14,930	
2	ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	პროექტი	5	3,500	17,500	17,500	
3	„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი / street art movement BAFITTI“ განხორციელება	პროექტი	1	100,000	100,000	100,000	
4	„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი“ განხორციელება	პროექტი	1	34,000	34,000	34,000	
5	„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ბავშვებს“ განხორციელება	პროექტი	1	10,220	10,220	10,220	
6	„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ განხორციელება	პროექტი	1	60,250	60,250	60,250	

7	„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „მობილური კინოთეატრი“ განხორციელება	პროექტი	1	50,000	50,000	50,000	
სულ ქვეპროგრამა					286,900	286,900	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ლონისძიების - „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 5 პირის დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 5 პირზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 06 02	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურ	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			17,960	55,960	68,960	70,960

ქვეპროგრამის მიზანი	<p>ახალგაზრდობის ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობა</p> <p>მოზარდობისა და ახალგაზრდული ასაკი ეს არის გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო პერიოდი. ამ დროს მოზარდები ინტერესს აკლენენ იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახასიათებთ შემოქმედებითობა, ახალი ცოდნის მიღებისა და თვითგანათლების მოთხოვნილება, აბსტრაქტული აზროვნება, იდეალიზებული და წარმოსახვის უნარები, უფროსი სასკოლო ასაკის სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად. არსებითი ძვრები ხდება მათი აზროვნების განვითარების მიმართულებითაც, აზროვნება ღებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს. სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზნობრივი კავშირების ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ინტელექტუალური განვითარება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ გროვდება გარკვეული ცოდნა და იცვლება ინტელექტის ცალკეული მხარეები, არამედ ყალიბდება გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილი.</p> <p>16 – 17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.</p> <p>ზემოთ მიმოხილული ასაკობრივი განვითარების მახასიათებლები, ცხადყოფს რომ განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში უნდა არსებობდეს ინტელექტუალური და შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობი პროგრამები, პროექტები, ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელშეწყობი და მასტიმულირებელი ღონისძიებები, რაც მათ დაეხმარებათ აზროვნების განვითარებაში, ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.</p> <p>იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდობის პერიოდში ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებების ხელმისაწვდომობის არ არსებობა ან არასაკმარისად არსებობა, ხელს უშლის ადამიანის გონებრივ და ინტელექტუალურ განვითარებას და ამავდროულად, გამოცდილება ცხადყოფს, რომ უფროსი სასკოლო ასაკის, სტუდენტებისა და ახალგაზრდობის განსაკუთრებული ინტერესის წყაროს წარმოადგენს ინტელექტუალურ და შემეცნებით თამაშებსა და აქტივობებში ჩართულობა, ბათუმელი ახალგაზრდობის გონებრივი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი ღონისძიებები:</p>
ქვეპროგრამის აღწერა	<p>1. ინტელექტუალური - თამაში „რა? სად? როდის?“ - ღონისძიება ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად:</p> <p>ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები;</p> <p>ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები;</p> <p>გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები;</p> <p>თამაშები ჩატარდება „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy-ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრენ-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდებიან წიგნებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.</p> <p>2. ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი) - გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურს „ეტალონიში“ მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეს. მონაწილეს შეუძლია თითოეულ დასმულ კითხვაზე, ოთხი სავარაუდო პასუხიდან, 15 წამის განმავლობაში გასცეს სწორი პასუხი. პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლინდება „ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლე“. ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება პროექტის ორგანიზების ხარჯები.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალგაზრდობისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭრილი ინტელექტუალურ - შეემეცნებითი პროექტების რაოდენობა	1	2	50% - პანდემია, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
2	ინტელექტუალურ - შეემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	800	700	10% - სამიზნე ჯგუფების არასათანადო ინფორმირებულობა; პანდემია.
3	პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროექტები მორგებული იყო მათ საჭიროებებსა და ინტერესებს)	-	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60 % ზე მეტი	10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან.
4	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს)	-	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60 % - ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“	ტური	1	15000	15,000	15,000	
2	ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“	ეტაპი	1	2960	2,960	2,960	
სულ ქვეპროგრამა					17,960	17,960	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პრიორიტეტის დასახელება	პრიორიტეტის დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		პრიორიტეტის დაფინანსება	15,927,509	16,605,693	17,220,248
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)	
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4,392,406	4,466,459	4,573,569	4,583,569	
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	10,718,413	11,350,234	11,857,679	12,171,979	
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	816,690	789,000	789,000	789,000	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			4,392,406	4,466,459	4,573,569	4,583,569

პროგრამის მიზანი	მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის პრევენცია და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა
პროგრამის აღწერა	მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქ. ბათუმის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მიღწევა სრულიად შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტში გათვალისწინებული მიზნობრივი ქვეპროგრამების მეშვეობით.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	მიზნობრივი 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	
1	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებული შედეგათები	8,716	8,896	9,450	9,700	9,700	1% - მომართვიანობის ცვლილება, ცნობიერების დაბალი დონე
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც დაავადებათა ადრეული გამოვლენის და პრევენციის მიზნით ჩაუტარდათ დიაგნოსტიკა და სკრინინგი	8,400	9,362	9,500	9,700	9,980	1% - მომართვიანობის ცვლილება, ცნობიერების დაბალი დონე
3	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ბენეფიციართა ჩართულობის %-ლი მაჩვენებელი	80%	80%	80%	80%	80%	1% - მომართვიანობის ცვლილება, ცნობიერების დაბალი დონე

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 01	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2021 წლის დაფინანსება (ლარი)	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,057,220	690,245	796,155	796,155

ქვეპროგრამის მიზანი	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა და მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მედიკამენტებითა და ჯანმრთელობისთვის საჭირო საკვები დანამატებით უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს მედიკამენტების მიღება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და რისი შეძენაც მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას არ შეუძლია. აქედან გამომდინარე მათი დახმარების მიზნით ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა ზემოთაღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში მედიკამენტები მიეწოდება:</p> <p>1) ბრონქული ასთმით დაავადების მქონე 19 წლამდე ასაკის პირებს; 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს;</p> <p>2) ეპილევსიით დაავადებულ 18 წლის ჩათვლით ასაკის პირებს; 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირს; შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს .</p> <p>3) პარკინსონით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე პირებს, შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონერებს.</p> <p>4) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირებს საკვები დანამატების შექმნის მიზნით გაეწევათ მატერიალური დახმარება.</p> <p>5) სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა.</p> <p>6) 18 წლამდე ასაკის ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირებს.</p>
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2020 წელი	მიზნობრივი 2021 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	3,325	3,434	1% - ენობიერების დაბალი დონე, მომართვიანობის ცვლილება,

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	275	246	67,620	67,620	
2	ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	60	190	11,400	11,400	
3	დახმარება მედიკამენტების შექმნისათვის	ბენეფიციარი	4,500	200	900,000	900,000	
4	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	15	1,600	24,000	24,000	

5	18 წლამდე ასაკის ცელაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	10	1,600	16,000	16,000	
6	18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	9	3,000	27,000	27,000	
7	პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	65	172	11,200	11,200	
სულ ქვეპროგრამა					1,057,220	1,057,220	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ცალკეულ ღონისძიებებს შორის თანხების გადანაწილება (დაზუსტება) შეიძლება განხორციელდეს ქვეპროგრამის ბენეფიციართა ფაქტიური მოთხოვნებიდან (მომართვიდან) გამომდინარე. პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2021 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს. ბრონქული ასთმით, ეპილეფსიით და პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარები ღონისძიებების ფარგლებში მიიღებენ მხოლოდ იმ მედიკამენტებს, რომლებიც მათ არ მიეცემათ მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.
